

შპს „გეოტრანს +“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„გეოტრანს+“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ქიქოძის ქ. 7/20

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი დგებუაძის 1

მისი ძირითადი საქმიანობაა ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები, საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი. საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. 2019 წლის ივლისის თვიდან დაემატა სამშენებლო მასალების რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

2.1 ამონაგების აღიარება

მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი ამონაგები აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევის დასრულებისას.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2 მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს.

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მისაყვანად ასევე დანიშნულების აღვილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
სატრანსპორტო საშუალებები	20 პროცენტი
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20 პროცენტი

2.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია განსაზღვრულია ნარჩენი ღირებულებით. სასარგებლო გამოყენების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

2.5 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.6 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო

პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. შაკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა არასაოპერაციო მოგებაში ან სხვა არასაოპერაციო ზარალში.

2.7 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდზე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების დარიცხულ და გადასახდელ თანხებს, რომელიც აღიარდება საპროცენტო ხარჯებში.

3. დივიდენდების გადახდა

დივიდენდის განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ კომპანიის დამფუძნებლები. შესაბამისი თანხის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში.

4. ამონაგები

	2022
მომსახურების გაწევიდან (გადაზიდვები)	4,472,802
საქონლის რეალიზაცია	1,059,713
ბინების იჯარა და სხვა	0
<u>სულ</u>	<u>5,532,515</u>

კომპანია კლიენტს უწევს შიდა და საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვის მომსახურებას.

კომპანია გეოტრანს+ კონტრაქტორ კომპანიას, უწევს სარეკლამო და ტვირთის დაზღვევის მომსახურებას.

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები მოიცავს 2022 წლის არასაოპერაციო შემოსავლებს.

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2022	2021
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	<u>26,308</u>	<u>97,584</u>

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	185,505	199,684
გადახდილი ავანსები	<u>172,521</u>	<u>79,221</u>
	<u>358,026</u>	<u>278,895</u>

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022	2021
სხვა მიმდინარე აქტივები	34,863	58,998
	<u>34,863</u>	<u>58,998</u>

9. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი სა
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2022წ.	939,824	1,491,397	284,972
შემოსვლა	()	16,755	127
გასვლა	(397,202)	(843,959)	()
31 დეკემბერი, 2022წ.	542,622	664,193	285,099
 დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი, 2022წ.	248,299	658,565	180,787
წლიური ცვეთა	(96,562)	(392,152)	8,397
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2022წ.	151,737	266,413	189,184
 საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022წ.	390,885	397,780	95,915

10. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა:

თვითღირებულება

1 იანვარი, 2022წ.

1,525

შემოსვლა

()

გასვლა

()

31 დეკემბერი, 2022წ.

1,525

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი, 2022წ.

1135

წლიური ამორტიზაცია

24

31 დეკემბერი, 2022წ.

1159

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2022

366

11. გრძელვადიანი სესხი

	2022 ლარი	2021 ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	0,0	342,490

12. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს 94,608 ლარს. ხოლო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 177,080 ლარს შეადგენდა.

13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი. ამ იჯარის ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. 2022 წლის განმავლობაში იჯარით აღებული ფართის თანხამ შეადგინა 11,700 ლარი, რომელიც ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	124,650	15,268

124,650	15,268
---------	--------

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშდება და აისახება საკუთრივ სხაობები სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისიგამოცემის
ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	124,650	15,268	344,344
სავაჭრო მოთხოვნები		185,505	199,684	170,314
გადახდილი ავანსები		172,521	79,211	85,854
სხვა მიმდინარე აქტივები	8	34,863	58,998	30,842
სხვა არამატერიალური აქტივები	2.4, 10	366	390	454
ძირითადი საშუალებები	2.3, 9	884,582	1,628,542	1,709,178
სულ აქტივები		1,402,487	1,982,093	2,340,986

ვალდებულებები		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	2.6, 12	94608	177,080	83,535
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	6, 11	26308	97,584	104,221
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მიმდინარე (მოკლევადიანი) სასესხო ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	0	342,490	851,737
სხვა ვალდებულებები		0	694	10,943
სულ ვალდებულებები		120,916	617,848	1,050,436

საკუთარი კაპიტალი		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი)		24,672	45,601	800
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2,397,560	2,077,179	1,289,750
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-1,140,661	758,535	0
საკუთარი კაპიტალი		1,281,571	1,364,245	1,290,550

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,402,487	1,982,093	2,340,986
---	--	------------------	------------------	------------------



საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები	2.1, 4	5,532,515	3,664,059
საქონლის რეალიზაციიდან		1,059,713	603,508
მომსახურების გაწევიდან		4,472,802	3,060,551
სხვა		0	0
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(807,949)	(1,537,154)
გადამუშავების დანახარჯები		(807,949)	(1,537,154)
საერთო მოგება		4,724,566	2,126,905
სხვა შემოსავალი	5	370,222	293,461
დასაქმებულთა ანაზღაურება		(559,559)	(719,745)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(83,597)	(220,124)
საპროცენტო ხარჯი	2.7	(10,381)	(38,761)
იჯარის ხარჯი	13	(11,700)	(10,200)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(3,702,230)	(1,026,720)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,997,245)	(1,722,089)
საოპერაციო მოგება		727,321	404,816
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(7,093)	(5,077)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(663,649)	(130,587)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		56,579	269,152
მოგების გადასახადი	2.2	0	0
მოგება / (ზარალი)		56,579	269,152
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		1,364,245	1,290,550
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(139,253)	(195,457)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,281,571	1,364,245

